მულტიდისციპლინური პრინციპის საფუძველზე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება

მარიამ მამულაძე, სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/spectri.2024.10.01.05

აბსტრაქტი

მულტიდისციპლინური მიდგომა რამდენიმე ინსტიტუტის გამაერთიანებელი არასრულწლოვანთა უფლებების დამცველი ჯაჭვია, რომელთაგან თითოეული რგოლი მიმართულია ბავშვთა კეთილდღეობისაკენ. საქართველოში აღნიშნული უფლების რეალიზების სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენს საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი", რომელიც 2019 წელს იქნა მიღებული. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება რადიკალური ცვლილებები და დგინდება ბავშვთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტები, რომლის ძირითადი საყრდენი მულტიდისციპლინური პრინციპია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მულტიდისციპლინური მიდგომით განხილული საქმე ავტომატურად არ ასოცირდება ბავშვისათვის საუკეთესო გადაწყვეტილების მიღების საფუძველთან. სასამართლო პრაქტიკა და სახალხო დამცველის ანგარიშები ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ჩართული პირების, იქნება ეს ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები თუ ადვოკატები, კომპეტენცია ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა საუკეთესო ინტერესების სათანადო დაცვას. მართალია კანონმდებელი იმპერატიულად ადგენს მონაწილე პირთა სპეციალიზირებულობის ვალდებულებას, თუმცა აღნიშნული ნორმა ბუნდოვანია, არ მიუთითებს მათი კომპეტენციის ზღვარს და არ განსაზღვრავს უწყებას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათ გადამზადებაზე. შესაბამისად გაურკვეველია როგორ უნდა შეაფასოს სასამართლომ ამ პირთა სპეციალიზაცია და რამდენად გასაზიარებელია მათ მიერ მომზადებული დასკვნები, რომლებიც არ არის შემუშავებული წინასწარ გაწერილი, ერთგვაროვანი და თანმიმდევრული მექანიზმებით და ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ გამოცდილებასა და პრაქტიკას.

ზემოაღნიშნული პრობლემების აქტუალობის წარმოჩენის მიზნით ნაშრომში განხილული იქნება, როგორც ეროვნული ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები და დასკვნები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში, მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებას.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანი, მულტიდისციპლინური მიდგომა, სასამართლო, ბავშვთა უფლებები, გადაწყვეტილება, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი.

The process of making decision, focused on the best interests of minors, within the basis of multidisciplinary principle

Mariam Mamuladze. PHD student at the Faculty of Law,

David Aghmashenebeli University of Georgia

Abstract

A multidisciplinary approach is a chain of protection of the rights of minors, uniting several institutions, each of which is aimed to the well-being of children. The legal guarantee for the realization of this right in Georgia is the Law of Georgia “Code of the Rights of the Child”, adopted in 2019.

Despite the abovementioned issue, a case discussed with a multidisciplinary approach is not automatically associated with the basis of the best decision for the child. Judicial practice and the reports of the Public Defender reveal that in many cases the competence of persons involved in the civil proceedings, like psychologists, social workers or lawyers, fail to ensure the proper protection of the best interests of children. Despite the legislator being imperatively establishing the obligation of having the concrete specialization of the participating persons, the mentioned norm is not clear, neither indicates the limits of their required competence nor determines the authorized agency that will be responsible for their retraining. Due to it, it is undefined how the court should assess the specialization of these

persons and how to take into account the conclusions prepared by them, which are not implemented by pre-defined, consistent mechanisms and are based only on their own experience and practice.

To highlight the relevance of the aforementioned issues, the paper will examine decisions of both the national courts and the European Court of Human Rights, and will also present recommendations and conclusions.

Keywords: minor, multidisciplinary approach, court, children's rights, decision, psychologist, social worker.

შესავალი

ევროინტეგრაციისაკენ მიმავალი გზა რიგ გამოწვევებს განაპირობებს საქართველოს კანონმდებლობისა თუ სასამართლო პრაქტიკის მიმართ. მათგან ერთ-ერთ აუცილებელ პირობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის მიერ აღიარებულ საერთაშორისო, ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია წარმოადგენს. [1] ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, ევროპული სტანდარტების დამდგენი დოკუმენტია ,,ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია [2], რომლის დანაწესებთანაც შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობა. სწორედ აღნიშნული მიზნით იქნა მიღებული 2019 წელს საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“ [3], რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო კონვენციების შემდგომ ადგენს ბავშვთა უფლებების დაცვის იმპერატიულ ნორმებს, რომელთა შორის განსაკუთრებულად საყურადღებო და აღსანიშნავია მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში სპეციალიზირებული პირების ჩართულობითა და ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება.

მულტიდისციპლინური მიდგომის არსი მდგომარეობს სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ყველა იმ ინსტიტუტის ჩართულობაში, რომელთა მონაწილეობამაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს ბავშვის კეთილდღეობაზე, თუმცა სადაო და პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს, საქართველოში მოქმედი

სამართლის ფარგლებში, აღნიშნული მექანიზმი რამდენად უზრუნველყოფს საკანონმდებლო მიზნებს.

სასამართლო პრაქტიკა და სახალხო დამცველის წლიური ანგარიშები ცალსახად მიუთითებს საკანონმდებლო ხარვეზებზე, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე. ბავშვის უფლებათა კოდექსი ითვალისწინებს საქმისწარმოების პროცესში სპეციალიზირებული კადრების ჩართულობას, მათ შორის ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის, თუმცა არ ადგენს მათი შეფასების სტანდარტებს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, არ განსაზღვრავს უწყებას, რომლის პრეროგატივაც იქნება კადრების გადამზადება და გადარჩევა. შესაბამისად, იბადება ეჭვი საქმეში წარმოდგენილი დასკვნების სანდოობის მიმართაც, რომლებიც ძირითადად ეყრდნობა მათ გამოცდილებას და პრაქტიკას, თუმცა რამდენად პოზიტიური გავლენის გამტარებელი იქნება ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მათი ამგვარი კომპეტენცია, დადგენა რთულია.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ფსიქოლოგების მიერ წარმოდგენილი დასკვნების ანალიზი ცხადყოფს, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდეგში - ,,სააგენტო“) სპეციალისტები არ ხელმძღვანელობენ ერთი სტანდარტიზებული მიდგომით და მათ გაჩნიათ არაერთგვაროვანია შეფასების კრიტერიუმები, მეთოდოლოგია და ტერმინოლოგია. [4] ფსიქოლოგთა მხრიდან განსხვავებული პროფესიული კომპეტენციების გამოვლენა და სხვა შინაარსით და დატვირთვით მნიშვნელოვანი სამეცნიერო ტერმინების გამოყენება კი კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს წინამდებარე ნაშრომში განხილული პრობლემების აქტუალობას.

მულტიდისციპლინური მიდგომის მნიშვნელობისა და საქართველოს მაგალითზე მისთვის დამახასიათებელი რიგი პრობლემური საკითხების უკეთ წარმოჩენის მიზნით ნაშრომში ასევე განხილული იქნება ეროვნული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, შემოთავაზებული იქნება პრობლემების გადაჭრის გზები, დასკვნები და რეკომენდაციები.

მულტიდისციპლინური მიდგომის არსი

მულტიდისციპლინური მიდგომის მიზანია ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასების შედეგად, ისეთი

გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა კეთილდღეობას. აღნიშნული მიზანი მიიღწევა საქმის განხილვის პროცესში სპეციალიზირებული პირების ჩართულობით, რომლებსაც ამ სფეროში გააჩნიათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება. საქმეში სპეციალიზირებული პირების მონაწილეობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აუცილებელია ყოველ კონკრეტულ საქმეში ინდივიდუალურად შეფასდეს ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და საჭიროებები, რათა გაკეთდეს სწორი დასკვნები და რეკომენდაციები.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში, მოცემულობის გათვალისწინებით, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე, საქმეში ჩააბას სპეციალიზირებული პირები, როგორიცაა მაგალითად, სოციალური მუშკები, ფსიქოლოგები, ადვოკატები, ექსპერტები, პედიატრები და სხვა.

მიუხედავად იმისა კონკრეტული ნორმა ითვალისწინებს თუ არა საკითხის გადაწყვეტის დროს მულტიდისციპლინურ მიდგომას ,,ბავშვის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე (ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპი), 72-ე (მულტიდისციპლინური მიდგომა) და 73-ე (პროფესიონალთა სპეციალიზაცია) მუხლების [5] მოქმედება, ვრცელდება ყველა იმ სამოქალაქო საქმეზე, რომელიც შეეხება არასრულწლოვანთა ინტერესებს, მაგალითად სოციალური სამსახურის ჩართვაზე არ არის მითითება საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს 1205-ე მუხლში მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ნორმაში, თუმცა აღნიშნული საკითხის განხილვის დროსაც დაცული უნდა იყოს ბავშვის უფლებათა კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმები. [6]

საქართველოს კანონი ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ რიგ შემთხვევებში იმპერატიულ დანაწესს ადგენს საქმის მულტიდისციპლინური მეთოდით განხილვაზე, მაგალითად, 1128-ე მუხლი (გადაწყვეტილების მიღება შვილების საცხოვრებელი ადგილის და მათი რჩენის შესახებ) პირდაპირ მიუთითებს განქორწინების შემდეგ, როდესაც მშობლები ბავშვის საცხოვრებელ ადგილზე ვერ თანხმდებიან საქმეში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დახმარებით

დგინდება ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, დამოკიდებულება მშობლებთან, ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის შესაძლებლობა, ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლის ოჯახური მდგომარეობა, ასევე იკვეთება ბავშვის სხვა საჭიროებები, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნულო მეთოდით საქმის განხილვის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას არ ღებულობს ერთპიროვნულად, იგი ეყრდნობა კვალიფიციური კადრების დასკვნებსა და შეფასებებს.

მულტიდისციპლინური მიდგომის საპროცესო გარანტიას წარმოადგენს საქართველოს კანონი ,,საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი". კოდექსი ითვალისწინებს ისეთ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობს მულტიდისციპლინური პრინციპიდან, მაგალითად, 162-ე (ექსპერტიზის დანიშვნა), 204-ე (სპეციალისტის მოწვევა) მუხლები და სხვა.

მულტიდისციპლინური მიდგომის მიზანია ყველა ბავშვისათვის, თანასწორი და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ ბავშვებისათვის, რომლებიც მოკლებულნი არიან მშობლების მზრუნველობას ან იმყოფებიან მათთან კონფლიქტში.

სპეციალისტთა როლი მულტიდისციპლინურ შეფასებაში

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში სპეციალიზირებული პირების მონაწილეობის საჭიროება განპირობებულია ისეთი ფაქტორებით როგორიცაა: სამართალწარმოების უზრუნველყოფა სპეციალური ცოდნის და გამოცდილების მქონე პირების მიერ; მონაწილეთა მიერ დაკისრებულ მოვალეობებთან პიროვნული და პროფესიული შესაბამისობის ქონის აუცილებლობა; შესაბამის სფეროში ბავშვის მიმართ ნებისმიერი საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობა; მულტიდისციპლინური მიდგომის მეთოდის გამოყენების უზრუნველყოფა. [7]

,,ბავშვს ეფექტურად ვერ მოუსმენ შემაშინებელ, მტრულ, არასენსიტიურ ან მისი ასაკისათვის შეუფერებელი გარემოში"[8] განმარტავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ამის უზრუნველყოფა კი შესაძლებელია სწორედ საქმეში სპეციალიზირებული პირების მონაწილეობით.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღების უმთავრესი საფუძველია ბავშვის მოსმენა და მისი აზრის გათვალისწინება, აღნიშნული უფლების რეალიზება კი პირდაპირ პროპორციულადაა დამოკიდებული ბავშვთან ადაპტირებულ გარემოზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე თ&ვ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ დაადგინა, რომ სამეფოს სასამართლოს რიტუალური გარემო შემაშინებელი და ბუნდოვანი იყო 12 წლის მოზარდისათვის, რის შედეგადაც ბავშვმა ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით. [9]

არასრულწლოვანთა საქმეზე აღსრულების პროცესები უმეტესად სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის ან/და იურისტის ზედამხედველობით წარიმართება, ამ დროს ბავშვის მეორე მშობელთან შეხვედრა ხშირად სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარეობს. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, რომლის თანახმადაც, ბავშვზე მორგებული ოთახი მხოლოდ ხუთ რეგიონულ ცენტრს აქვს (იმერეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი), სხვა შემთხვევებში კი ფსიქოლოგის სამუშაო სივრცე გამოიყენება. [10] არასრულწლოვანზე ადაპტირებული გარემოს არარსებობა აფერხებს პროცესში ბავშვის ჩართულობას, ღიაობას, ნდობის მოპოვებას, შესაბამისად წარმოიქმნება უფრო მეტი შეხვედრების ორგანიზების საჭიროება, რაც ავტომატურად აჭიანურებს სასამართლო საქმის დასრულებას. გახანგრძლივებული სასამართლო პროცესები კი უგულებელყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ხაზს უსვამს სპეციალიზირებული პირების ჩართულობის მნიშვნელობას საოჯახო სამართლებრივ დავებში ბავშვის ძირითადი უფლებების რეალიზებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის მიზნით. ეს მიდგომა რასაკვირველია საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ს მიღებამდეც არსებობდა, რომელიც წარმოადგენს ფუნდამენტურ საფუძველს მულტიდისციპლინური მიდგომისა, თუმცა აღნიშნული საკანონმდებლო აქტის მიღების შემდგომ უკვე იმპერატიული დანაწესები ჩნდება კანონმდებლობაში და საქმეში სპეციალიზირებული პირების ჩართვა აღარ არის დამოკიდებული სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე. საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს: ,,საქმეში არ არის წარმოდგენილი

სპეციალისტის შესაბამისი დასკვნა, რომელიც ასახავდა და გაანალიზებდა მარტოდ დარჩენილი ,,ა"-ის მდგომარეობას, მის ემოციურ განცდებს, რაც მოგვცემდა შესაძლებლობას გვემსჯელა ბავშვთა საუკეთესო ინტერესებზე". [11] აღნიშნული განმარტება კიდევ ერთხელ ცხადყოფს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლის მატარებელია სპეციალიზირებული პირები მულტიდისციპლინური შეფასებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების კონტექსტში.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში სპეციალიზირებული პირების მაღალი ხარისხით ჩართულობის აუცილებლობაზე კეთდება აქცენტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ,,გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ". სასამართლო განმარტავს, რომ ფსიქოლოგი დასკვნაში ხაზს უსვამდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ,,ლ"-მ მიიღო ფსიქოლოგიური ტრამვა და ესაჭიროებოდა დახმარება, თუმცა საქმეში არ არსებობდა ექსპერტის არანაირი დასკვნა, რომელიც მიანიშნებდა, ბიჭის უკრაინაში დაბრუნება გაამძაფრებდა თუ არა მის ფსიქოლოგიურ ტრავმას, ასევე არ ასახავდა უკრაინაში დაბრუნების სავარაუდო შედეგებს და შესაძლო რისკებს. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამო უზენაეს სასამართლოს არ შეეძლო დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. [12] აღნიშნული გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში სპეციალისტების ჩართულობის აუცილებლობის გარდა ხაზს უსვამს მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების ხარისხის მნიშვნელობაზე.

მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც უკვე აღვნიშნეთ უმნიშვნელოვანესია ბავშვის ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის, მშობლებთან დამოკიდებულების, ფსიქოლოგიური ზეწოლის რისკებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით გადამწყვეტ როლს თამაშობს ის პროცედურები, პრინციპები, სტრატეგია თუ შეფასების მეთოდოლოგია, რომელსაც იყენებენ სპეციალიზირებული პირები.

საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის სპეციალური ანგარიშიდან ირკვევა, რომ სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს არ გააჩნიათ წინასწარ გაწერილი პროტოკოლი, სახელმძღვანელო პრინციპები, პროცედურები და მექანიზმები, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების

განხორციელებისას. მათ მიერ მომზადებული დასკვნების ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ შეფასებები საკმაოდ ზოგადია და ხშირად დეტალურად ვერ პასუხობს იმ კითხვებს, რაც მნიშვნელოვანია საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. [13] დასკვნების ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ სააგენტოს სპეციალისტებს არ აქვთ სტანდარტიზირებული მიდგომები, არაერთგვაროვანია შეფასების კრიტერიუმები, მეთოდოლოგია და მათ შორის ტერმინოლოგიაც. მაგალითად, განსხვავებული შინაარსით იყენებენ ტერმინს ,,მიჯაჭვულობას“ შემდეგ სიტყვათა წყობაში ,,გადაჭარბებული მიჯაჭვულობა“, განსაკუთრებული მიჯაჭვულობა“ , ,,მიჯაჭვულობის მაღალი მაჩვენებელი“ და სხვა. სიტყვის სხვაგვარი ინტერპრეტაცია შესაძლოა დამაბნეველი აღმოჩნდეს და არასწორი წარმოდგენა შექმნას ბავშვისა და მშობლის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამასთან საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში, ,,მიჯაჭვულობის“ ფენომენთან მიმართებაში, სიტყვა ,,მიჯაჭვულობის“ ზემოაღნიშნული ფორმები არ არის ცნობილი. [14]

დასკვნების ნაკლოვან მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ხშირ შემთხვევაში ფსიქოლოგები მათ მიერ მომზადებულ შეფასებებში გამოთქვამენ ვარაუდს მომავალზე, თუმცა ვერ ასაბუთებენ რა მონაცემებს ეყრდნობიან ამგვარი მსჯელობის დროს. ფსიქოლოგის ერთ-ერთ დასკვნაში მითითებულია: ,,რაც თავის მხრივ აჩენს რისკს სამომავლო პარტნიორულ ურთიერთობებში იჩინოს თავი და მან აირჩიოს ისეთივე ,,ცუდი“ პარტნიორი, იყოს ისეთივე ,,ცუდი“ მეუღლე, როგორიც იყვნენ თავისი მშობლები“. [15] მსგავსმა შეფასებებმა, შესაძლებელია ნეგატიური გავლენა იქონიოს ბავშვის თვითშეფასებაზე და მომავალზე, ამიტომ ფსიქოლოგებს მოეთხოვებათ იყვნენ უფრო მეტად კომპეტენტურები და პროფესიონალები თავიანთი საქმის.

განხილული პრაქტიკული მაგალითები ცხადყოფს, რომ მულტიდისციპლინური მიდგომის მიზნების მიღწევისათვის აუცილებელია სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, იურისტების მუდმივი გაძლიერება და გადამზადება. საქართველოს კანონმდებლობით სპეციალიზაციის ვალდებულება დადგენილია მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ფსიქოლოგებისთვისაც, თუმცა კანონმდებელი არ ადგენს უწყებას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათ გადამზადებაზე, ასევე არ არის განსაზღვრული არასრულწლოვანის მოსმენის თუ

მასთან დაკავშირებული სხვა საკითხის კვლევის პროცესში მონაწილე ფსიქოლოგების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კრიტერიუმები, ტრენინგ-მოდულები ან სხვა ინსტრუქციები. [16] არასრულწლოვანთა საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია სასამართლო იყოს დარწმუნებული, რომ საქმეში ჩართული ფსიქოლოგი სათანადოდ ერკვევა კონკრეტულ საკითხში. [17] ერთი მხრივ, ფსიქოლოგებმა უნდა შეძლონ სასამართლოს მიაწოდონ კვალიფიციური შეფასებები, ხოლო მეორე მხრივ, მოსამართლეები უნდა გახდნენ დასკვნების კრიტიკული შემფასებლები და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღონ სამართლიანი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის კიდევ ერთ ალტერნატივად გვევლინება ფსიქოლოგთა ეთიკის ნორმების დადგენა, მსგავსად აშშ-ის. ფსიქოლოგთათვის კონკრეტული ქცევის წესების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრა, ვფიქრობ, რადიკალურად გააუმჯობესებს მათი საქმიანობის ხარისხს. სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილი დასკვნები არაერთხელ გამხდარა სადაო, საბოლოოდ კი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლოა დადგინდეს, რომ არის ზოგადი, არ ასახავს ობიექტურ გარემოებებს და არ არის ორიენტირებული ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, თუმცა ამის პარალელურად, არასდროს დამდგარა ფსიქოლოგთა პასუხისმგებლობის საკითხი.

დასკვნა

მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ჩართულ სპეციალისტთა საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგისა თუ სხვა სპეციალისტების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ბავშვთა საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფისათვის ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს სპეციალისტთა კომპეტენციის მინიმალური ზღვარი, ტრენინგ-კურსებისა და მოდულების ათვისების აუცილებლობა. სააგენტომ ყოველწლიურად უნდა გაუწიოს ორგანიზება სოციალური მუშაკების, იურისტებისა და

ფსიქოლოგების რაოდენობის გარკვეული ნაწილის გადამზადებას თემატურ საკითხებზე. მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება გამოუმუშავებთ უნარებს, მიდგომებსა და მეთოდებს, რომლებიც დაეხმარებათ ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობისა და საჭიროებების დადგენაში.

სააგენტოებმა ასევე უნდა უზრუნველყოს ყველა ტერიტორიულ ერთეულში არასრულწლოვანზე მორგებული და ადაპტირებული სივრცის მოწყობა, რაც სპეციალისტებს ბავშვთან კომუნიკაციის მარტივად დამყარებაში დაეხმარება.

სააგენტოს სოციალურ მუშაკებსა და ფსიქოლოგებს უნდა გააჩნდეთ წინასწარ გაწერილი, ერთგვაროვანი და თანმიმდევრული მექანიზმები, რათა საქმის გარემოება შეაფასონ ობიექტურად, სრულფასოვნად და არ დაეყრდნონ მხოლოდ თავიანთ გამოცდილებას და პრაქტიკას.

სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში ფსიქოლოგის დასკვნის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია შემუშავდეს ფსიქოლოგთა ეთიკის ნორმები/კოდექსი, რომელშიც გაწერილი იქნება საქმიანობის პრინციპები, სპეციალისტთა ფუნქციები და ვალდებულებები, შეფასების თავისებურებები, მეთოდოლოგიები და სტრატეგიები, ხოლო საქმისადმი ზედაპირული დამოკიდებულების დადგენის შემთხვევაში კი გამოსაყენებელი პასუხისმგებლობის ზომები.

შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გაზიარება ხელს შეუწყობს წინამდებარე ნაშრომში წარმოჩენილი პრობლემების გადაჭრას, როგორც საკანონმდებლო ასევე პრაქტიკულ დონეზე, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებას მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე.

1. ზარნაძე ე., ჭალიძე თ., ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში, სამართლის ჟურნალი №1, 2024, გვ.44;

2. ,,ბავშვის უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0> [წვდომის თარიღი: 15.12.2024];

3. საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=7 > [წვდომის თარიღი: 15.12.2024];

4. ბავშვის ორივე მშობელთა ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2023, გვ.29;

5. საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“, 69, 72 -73 მუხლები, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=7 > [წვდომის თარიღი: 15.12.2024];

6. ზარნაძე ე., ჭალიძე თ., ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში, სამართლის ჟურნალი №1, 2024, გვ.49;

7. ზარნაძე ე., ჭალიძე თ., ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში, სამართლის ჟურნალი №1, 2024, გვ.51;

8. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12, ბავშვის უფლება მისი მოსაზრების მოსმენაზე, 2009, <https://digitallibrary.un.org/record/671444?ln=en > [წვდომის თარიღი: 15.12.2024];

9. Tv. United Kingdom – Application No. 24724/94, ECtHR, 16 December 1999, [წვდომის თარიღი: 15.12.2024];

10. ბავშვის ორივე მშობელთა ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2023, გვ.27;

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილება Nას-53-51-2016;

12. გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება (საჩივარი N2361/13; 21.07.2015);

13. ბავშვის ორივე მშობელთა ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2023, გვ.28-29;

14. Patterns of attachment a psychological study of the strage situation, <https://mindsplain.com/wp-content/uploads/2021/01/Ainsworth-Patterns-of-Attachment.pdf> [წვდომის თარიღი: 15.12.2024];

15. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენროს ფსიქოლოგის დასკვნა N07012414, 20.04.2022;

16. ზარნაძე ე., ჭალიძე თ., ფსიქოლოგის ინსტიტუტი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მულტიდისციპლინური მიდგომის კონტექსტში, სამართლის ჟურნალი №1, 2024, გვ.59;

17. Okoye, J. U., Oraegbunam, I. K., Some pathways for psychology's influence on legal system. African Journal of Law and Human Rights, 3(1), 2019, p. 50.